ფიზკულტურა და სპორტი

სსრ კავშირის თასზე

„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მოსკოვი)

მოსკოვი (ჩვენი სპეც. კორ.) 1 ოქტომბერს აქ "დინამომ" სტადიონზე 1/4 ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის დინამოელები.

მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, თამაში მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარდა და მას დიდძალი მაყურებელი დაესწრო. პირველი ნახევარი მრავალი სახიფათო მომენტით აღინიშნა როგორც მოსკოველთა, ისე თბილისელთა კართან, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.

შესვენების შემდეგ თამაში კვლავ გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა. რამდენიმე სახიფათო მდგომარეობა მოწინააღმდეგის კართან შექმნეს გ. ანთაძემ, ი. ვარდიმიადიმ, კ. გაგნიძემ. მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ისინი არ ეცემოდნენ სველ მოედანზე ან არაზუსტად ურტყამდნენ. ასე გაიარა თამაშის 40 წუთმა ანგარიში გაიხსნა შეხვედრის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე ბესკოვმა რიჟკინის მიერ კარგად ჩაწოდებული ბურთი შეუჩერებლად გაგზავნა თბილისელთა კარში.

ამრიგად, ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით (1:0).

„ახ. კომუნისტი“, 6 ოქტომბერი 1953 წ.